



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანყურის ტაძარი

ანყურის ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ამავე სახელწოდების სოფელში.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ თანახმად, ანყურში საეპისკოპოსო ტაძარი უკვე გრიგოლ ხანძთელის დროს, ე. ი. VIII–IX სს-ში არსებობდა. გრიგოლის ერთ-ერთი მოწაფე ანყურის ეპისკოპოსი ყოფილა. სხვადასხვა დროს იქ მოღვაწეობდნენ მწერლები, კალიგრაფები, წიგნის მკაზმავები. ქართ. წერილობითი კულტ. განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს იქ მოღვაწე გიორგი მანყვერელმა (IX–X სს.), გაბრიელ კოტიამ (XI ს.), გრიგოლმა, იოაკიმე მანყვერელმა, სვიმეონ კარგარეთელმა, იერემია მანყვერელმა (ყველა XVI ს.) და სხვ.

ა. ტ-ის ღვთისმშობლის ხატი სახელგანთქმული იყო მთელ საქართველოში. მემკვიდრეობა გადმოგვცემს, რომ XIII ს. მიწურულში, მიწისძვრის დროს (აღდგომის წინა დღეს), ხატი ეკლესიის შუაში ესვენა, ჩამოქცეული გუმბათი მას ქუდივით დაეხურა და ასე გადარჩა. ანყურის ტერიტორიაზე შემორჩენილი ღვთისმშობლის გუმბათოვანი ტაძრის ნანგრევები დღესაც გვაოცებს თავისი სიდიდით (იგი ფართობით სვეტიცხოველსაც კი სჭარბობს). გაირჩევა 2 სამშენებლო ფენა – X – XI და XIII – XIV სს. ახლა გუმბათი და ყველა კამარა ჩამოქცეულია. შედარებით უკეთაა გადარჩენილი აღმ. ნაწილი. საკურთხეველსა და მის ორივე მხარეს მდებარე სათავსებს (ე. წ. სადიაკვანესა და სამსხვერპლოს) აღმ-ით შვერილი წახნაგოვანი კედლები ჰქონდა. შიგნით გადარჩენილია საკურთხევლის კუთხეების მორთულობა – კედლის წვრილი სვეტები ბურთულებიანი თავსამკაულებით. საკურთხევლის კედლის გარეპირის მორთულობა (თალებისა და სარკმლის მოჩუქურთმებული არშიის ნაწილები) მოწმობს, რომ შენობის ეს მონაკვეთი XIII ს-ზე აღრინდელია; იგი, როგორც ჩანს, გადაურჩა იმ მიწისძვრას, რ-მაც ძლიერ დაანგრია ა. ტ.

დას. კედელი მიწისძვრის შემდეგ არ აღუდგენიათ. ამჟამად მისი პერანგიც თითქმის სულ ჩამოცლილია. ძვ. ფოტოსურათებზე ჩანს მისი გარე მორთულობა, რ-იც ხასიათით XIII – XIV სს. მიჯნას ან XIV ს. I ნახევარს მიეკუთვნება. XVI ს-ში ა. ტ-ში ჯერ კიდევ იყო წირვა-ლოცვა, იგი მოქმედებდა XVIII ს. II ნახევარშიც. თვით XIX ს. დასაწყისამდე. როგორც ჩანს, ძველი საბოლოოდ დანგრეულია ოსმალთა ბატონობის ბოლო წლებში. ა. ტ-ის მახლობლად აღმართულია აწყურის ციხე, შემორჩენილია X – XIII სს. ეკლესიის ნანგრევები, სლესის ციხე (მოქცევის ციხე).

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970; მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1962.

ვ. ბერიძე

ლ. მენაბდე
